ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

არასტანდარტული საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატი - (ხელშეკრულების თარიღი, ნომერი)

სადეპოზიტო სერტიფიკატის **საპროცენტო განაკვეთი**

- სადეპოზიტო სერტიფიკატის საპროცენტო განაკვეთის ტიპი - ფიქსირებული
- სადეპოზიტო სერტიფიკატის წლიური საპროცენტო განაკვეთი - %
- სადეპოზიტო სერტიფიკატის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი- %
- [სადეპოზიტო სერტიფიკატის ლარში განთავსების შემთხვევაში წლიური საპროცენტო განაკვეთი- %]

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

- სადეპოზიტო სერტიფიკატის ღირებულება - ლარი, [დოლარი], [ევრო]
- სადეპოზიტო სერტიფიკატის ნომინალური ღირებულება - ლარი, [დოლარი], [ევრო]
- სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადა - თვე
- კლიენტს არ აქვს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის უფლება გარდა ბანკის მიერ

სადეპოზიტო სერტიფიკატის გამოსყიდვის შემთხვევისა.

„აღნიშნული სერტიფიკატი არის არასტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატი და მასზე არ ვრცელდება კომერციული ბანკების სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულების მოთხოვნები“

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში – არანაკლებ ერთი თვით ადრე წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით.

თქვენი დეპოზიტი დაზღვეულია „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფარგლებში

[უცხოური ვალუტით განთავსებული სადეპოზიტო სერტიფიკატი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს!
ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული სარგებელი მნიშვნელოვნად შეამციროს]

[ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში სადეპოზიტო სერტიფიკატის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - %]

მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ბანკში ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდსა – www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406.

ხელმოწერები:

ბანკი	კლიენტი

ხელშეკრულება N

საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატის ნასყიდობის შესახებ

საქართველო, ქ. თბილისი	**2022_ წლის 00 თვე**

ერთის მხრივ სს „ხალიკ ბანკი საქართველო“ (ს/კ 205236537, იურიდიული მისამართი: თბილისი, მ. კოსტავას ქ. N74; საქართველოს ეროვნულ ბანკში ლიცენზირების ფორმა - კომერციული ბანკი; საზედამხედველო ორგანო -საქართველოს ეროვნული ბანკი; მისამართი: სანაპიროს ქ. N2, თბილისი, საქართველო; შემდგომში - **ბანკი**), წარმოდგენილი_____ფილიალის მმართველის _____სახით, მოქმედი ბანკის გენერალური დირექტორის 2019 წლის 19 აპრილის № ნ-33 ბრძანების საფუძველზე და მეორეს მხრივ [იურიდიულ პირი/საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანიზაციული წარმონაქმნი] (შემდგომში - **კლიენტი**) წარმოდგენილი მისი დირექტორის/_____სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები", ვდებთ წინამდებარე **სადეპოზიტო სერტიფიკატის ნასყიდობის ხელშეკრულებას** (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

ხელშეკრულების საგანი

1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად კლიენტი იძენს ბანკისაგან სადეპოზიტო სერტიფიკატს ქვემოთ მოცემული პირობებით.
2. წინამდებარე ხელშეკრულებაზე სრულად ვრცელდება: (1) სს „ხალიკ ბანკი საქართველოს“ მიერ სტანდარტული და არასტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვების ძირითადი პირობები“ და (2) სს „ხალიკ ბანკი საქართველოს“ მიერ გამოშვებული არასტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატის ნასყიდობის და მომსახურების ძირითადი ხელშეკრულებას, რომელებიც განთავსებულია ბანკის ვებ გვერდზე: https://halykbank.ge/ka/business/agreements-corporate-business
3. შეძენილი სადეპოზიტო სერტიფიკატი არის არასტანდარტული და მასზე არ ვრცელდება კომერციული ბანკების სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულების მოთხოვნები.
4. წინამდებარე ხელშეკრულების თავსართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს
5. „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2026 წლის პირველი აპრილიდან ყველა დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში და მიკრობანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 50 000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში და მიკრობანკში ყველა დეპოზიტორის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge
6. **სერტიფიკატის პირობები:**

6.1. სადეპოზიტო სერტიფიკატის ტიპი	არასტანდარტული საპროცენტო
6.2. სადეპოზიტო სერტიფიკატის ნომერი	ხელშეკრულების ნომერი
6.3. სადეპოზიტო სერტიფიკატის ვალუტა	ვალუტა (ლარი, დოლარი, ევრო)
6.4. სადეპოზიტო სერტიფიკატის ღირებულება	თანხა
6.5. სადეპოზიტო სერტიფიკატის ნომინალური ღირებულება	თანხა

6.6. სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადა. დასრულების თარიღი	0 (სიტყვიერად) თვე; 202_ წლის 00 თვე
6.7. სადეპოზიტო სერტიფიკატის წლიური საპროცენტო განაკვეთი	%
6.8. სადეპოზიტო სერტიფიკატის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	%
6.9. საპროცენტო განაკვეთის ტიპი	ფიქსირებული
6.10. სადეპოზიტო სერტიფიკატის მომსახურე ანგარიში	GE60HB0 ---------- მიმდინარე ანგარიში
6.11. საპროცენტო სარგებლის გადახდა	ყოველთვიურად, ყოველი მომდევნო თვის იმავე რიცხვში, რა რიცხვშიც მოხდა სადეპოზიტო სერტიფიკატის შეძენა. წინამდებარე ხელშეკრულების 6.10. პუნქტით განსაზღვრულ ანგარიშზე სარგებლის ჩარიცხვის გზით.
6.12. ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	%
6.13. სადეპოზიტო სერტიფიკატის გასხვისების საკომისიო	გასხვისების ღირებულების 0.1%, მინ. 50 ლარი
6.14. სადეპოზიტო სერტიფიკატზე თანხის დამატება	არ არის შესაძლებელი
6.15. სადეპოზიტო სერტიფიკატის ნაწილობრივი განაღდება	არ არის შესაძლებელი

სხვა პირობები

7. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა და სერტიფიკატის თანხის ვადამდე მოთხოვნა ბანკისგან, სერტიფიკატის მოქმედების ვადის ამოწურვამდე დაუშვებელია. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ ბანკის მიერ სერტიფიკატის გამოსყიდვით.

8. ბანკი ვალდებულია უზრუნველყოს შემძენის ინფორმირება საპროცენტო განაკვეთის და/ან ხელშეკრულების სხვა მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შესახებ მის განხორციელებამდე 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში – არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე შესაბამისი წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გზით (წერილობით ან ელ. ფოსტით ან ინტერნეტ ბანკით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით). წინასწარი შეტყობინების ვალდებულება არ არსებობს, თუ ცვლილება ხორციელდება შემძენის სასარგებლოდ. შემძენს ასევე 1 (ერთი) თვით ადრე მიეწოდება ინფორმაცია სერტიფიკატის ვადის გასვლის შესახებ.

9. სს „ხალიკ ბანკი საქართველოს“ მიერ სტანდარტული და არასტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვების ძირითადი პირობებს“ ან/და სს „ხალიკ ბანკი საქართველოს“ მიერ გამოშვებული არასტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატის ნასყიდობის და მომსახურების ძირითადი ხელშეკრულებას, და წინამდებარე ხელშეკრულებას შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში, პრიორიტეტი ენიჭება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს.

10. თუ სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელი შეცვლის წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ რეკვიზიტებს, მათ შორის: მისამართს, ტელეფონის ნომერს ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართს და ამის შესახებ არ აცნობებს ბანკს, ეს უკანაკნელი ხელმძღვანელობს მისთვის ცნობილი რეკვიზიტებით და მათზე შეტყობინების გაგზავნა ითვლება სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელის მიერ ინფორმაციის მიღებად

11. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და ჩაითვლება დასრულებულად მხარეების მიერ მასში მოცემული ყველა პირობის შესრულებისას, სრული ურთიერთანგარიშსწორების შემდეგ.

12. საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და სს „ხალიკ ბანკი საქართველოს“ სადეპოზიტო სერტიფიკატის მომსახურების ძირითადი პირობებით, მაგრამ ეხება ხელშეკრულების საგანს, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

13. ყველა დავა და უთანხმოება, რომლებიც წარმოიშობა მხარეებს შორის ხელშეკრულების მოქმედების დროს, გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ბანკის ადგილსამყოფელის მიხედვით.

14. კლიენტი უფლებამოსილია წარადგინოს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული პრეტენზიები ბანკის ნებისმიერ ფილიალში ან ბანკის (სათაო ოფისის) კანცელარიაში ზეპირი თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. წარდგენილი პრეტენზიის განხილვისა და წერილობითი პასუხის გაცემის მაქსიმალური ვადა შეადგენს 30 (ოცდაათი) დღეს. პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე www. halykbank.ge.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:	
ბანკი: სს „ხალიკ ბანკი საქართველო“-ს _____ ფილიალის მმართველი _____ **მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N74** **ტელ: 032 2 24 07 07** **უფლებამოსილი პირის ხელმოწერა** _____ **ბ.ა.**	**კლიენტი :**_____**(იურიდიული პირის სახელი)** **ს/კ:** _____ **მისამართი:** **ტელეფონის ნომერი:** **E-mail:** **წარმოდგენილი:** **უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ხელმოწერა:** _____ **ბ.ა.**